პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 188 (4698)

1972 წ. 21 სექტემბერი, ხუთშაბათი, ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ამიერკავკასიის რესპუბლიკების I სპორტული თამაშები

სსრკ 50

# მეგობრები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს

ამიერკავკასიაში წყალბურთის განვითარება ოციანი წლებიდან იწყება. საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში 1925 წელს ეს სახეობა ჯერ კიდევ არ იყო მასობრივი, მაგრამ ამ სამი მოძმე რესპუბლიკის ცალკეული ენთუზიასტებისგან შემდგარმა გუნდმა საბჭოთა კავშირის პირველ ჩემპიონატში სწორედ იმ წელიწადს მიიღო მონაწილეობა.

ერთმანეთს კი ამ რესპუბლიკების წყალბურთელები როგორც სპორტული მეტოქეები, 1946 წელს — ამიერკავკასიის სპარტაკიადის პროგრამაში ამ სახეობის შეტანის შემდეგ შეხვდნენ.

— ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის დიდი სიხარული მოჰქონდა ისეთ შესანიშნავ წყალბურთელებთან მეტოქეობას, როგორიც იყვნენ ნოდარ გვახარია, პეტრე მშვენიერაძე, გიორგი ხარებოვი და სხვები, — გაიხსენა აზერბაიჯანის სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ბ. გალუშნიკოვმა. იყო რაღაც სიმბოლური იმაში, რომ ორ ათეულ წელზე მეტი ხნის შემდეგ სწორედ მას ხვდა ბედნიერება ესტაფეტა გადაეცა ახალგაზრდებისთვის — ემსაჯა ამიერკავკასიის მეგობრული თამაშების პირველი მატჩი წყალბურთში.

ჩვენს დედაქალაქში სპორტული მეტოქეებისა და გულითადი მეგობრების წრეში აღმოჩნდა სომხეთის გუნდის მწვრთნელი ა. ნერსესიანიც. იგი ბევრჯერ შეხვედრია სარბიელზე ქართველ წყალბურთელებს. გაივლის წლები და ასევე ტკბილად მოიგონებენ განვლილ დღეებს ის ახალგაზრდებიც, რომლებიც პირველად ამ მეგობრულ თამაშებში იცავენ თავიანთი რესპუბლიკების ღირსებას.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების იუნიორ წყალბურთელთა ეს ასპარეზობა საზეიმოდ გუშინწინ გაიხსნა „ლოკომოტივის" საცურაო აუზზე. სამი მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლებს გულთბილად მიესალმა საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის სპორტის მასობრივი და საწყლოსნო სახეობების განყოფილების უფროსი ს. ჯაიანი.

თამაშები სომხეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრით დაიწყო. სტუმრების ახალბედა გუნდმა ძალიან დამაჯერებლად ითამაშა. ანგარიში მეორე პერიოდში გახსნა სტუმარმა ა. ტრეპეტუნმა. ეს სპორტსმენი თბილისის „ლოკომოტივში" დაოსტატდა და სულ ახლახან ერევანში გადავიდა — ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩაირიცხა.

ჩვენი გუნდის სისუსტე (ნაკლები მოძრაობა, ზედმეტი გადაცემები, უკომბინაციო თამაში, ნელი ცურვა) თანდათან გამოიკვეთა. ა. შატალინმა და გ. არუთინოვმა, რომლებიც თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდში იწრთობიან, ვერ მოახერხეს ხელში აეღოთ თამაშის სადავეები, პირიქით, შეანელეს კიდეც ტემპი. მასპინძლებმა მესამე პერიოდში მეორე ბურთიც გაუშვეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო არუთინოვმა სტუმართა კართან შექმნილ არეულობაში ერთი საპასუხო ბურთის გატანა.

ბოლო ხუთწუთიან მონაკვეთში ა. ლოტოევმა წონასწორობა აღადგინა, მაგრამ სტუმრებმა კვლავ მოახერხეს დაწინაურება — 3:2.

მატჩის მიწურულს შატალინმა ვერ გამოიყენა ოთხმეტრიანი საჯარიმო დარტყმა და შეხვედრაც დამთავრდა.

**თ. ბაჩეჩილაძე.**

* * *



სურათზე: საქართველოსა და სომხეთის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## გუშინ

ერთმანეთს შეხვდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდები. გაიმარჯვეს აზერბაიჯანის იუნიორებმა — 7:4 (1:0, 2:1, 0:2, 4:1).

## საქართველოს ახალგაზრდების სტუმრები

საქართველოში ოთხ დღეს სტუმრობდა მექსიკის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის მოწვევით ჩამოვიდა საბჭოთა ქვეყანაში.

სტუმრები იყვნენ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ყვარელში...

დელეგაცია ესაუბრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ლ. ხანაძეს.

## სამი თბილისელი — ნახევარფინალში

დონეცკში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში წარმატებით გამოდიან საქართველოს ჩოგბურთელები: წყვილთა შეჯიბრების ნახევარფინალებისკენ გზა სამმა თბილისელმა გაიკაფა.

ვაჟთა წყვილებში ახალმა დუეტმა — ა. მეტრეველმა და თ. კაკულიამ შეწყობილი თამაშით მოხიბლეს მაყურებლები და დამაჯერებლად გავიდნენ ნახევარფინალში. აქ მათი მეტოქეები იქნებიან თ. ლეიუსი და ს. ლიხაჩოვი.

ამ ეტაპზე ითამაშებს მეორე თბილისელი ა. ივანოვაც, რომელიც მოსკოველ ე. იზოპაიტისთან ერთად ასპარეზობს. ნახევარფინალში ეს დუეტი შეხვდება ბაქოელ ე. ბირიუკოვასა და ალმაათელ მ. კრომინას. მეორე ნახევარფინალში იასპარეზებენ ო. მოროზოვა (მოსკოვი) — ზ. იანსონე (რიგა) და ა. დმიტრიევა — ა. ერემეევა (ორივე — მოსკოვი).

ვაჟთა ერთეულების მეოთხედფინალში გავიდნენ ა. მეტრეველი და თ. კაკულია, ქალთა მეოთხედფინალში — ა. ივანოვა. აღსანიშნავია, რომ ივანოვამ დაამარცხა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი დმიტრიევა — 6:1, 9:7.

## ახალი სეზონი —72

● **ზჩეცინი, 19 სექტემბერი.** რიგის ვეფ-ის კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა გაზეთ „გლოს შჩეცინსკის" თასზე აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება იზეიმა. რიგელებმა ადგილობრივი „პოგონი", პრაღის „სპარტა" და დანიის გუნდი ჩამოიტოვეს.

● **ბელგრადი, 19 სექტემბერი.** ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში I მსოფლიო ჩემპიონატი იუგოსლავიის დედაქალაქში ჩატარდეს 1973 წლის 1-9 სექტემბერს. შეჯიბრებების გამართვას „ტაშმაიდანის" წყალჯომარდობის სტადიონზე აპირებენ, რომელსაც ოლიმპიური სტანდარტების ორი აუზი აქვს.

## ახალი სეზონი-72

# შადრინის ოთხი შაიბა

**მოსკოვი, 19 სექტემბერი.** ვინ არის უკეთ მომზადებული კანადის პროფესიონალ ჰოკეისტებთან მატჩებისთვის? ამ შეკითხვაზე უნდა ეპასუხნათ სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებს ვ. ბობროვს და ბ. კულაგინს, როცა ცსკა-ს სპორტის სასახლის ყინულის სარბიელზე ქვეყნის პირველი და მეორე ნაკრები გუნდები გამოვიდნენ.

ეს ამხანაგური შეხვედრა დღეს გაიმართა. გაიმარჯვა პირველმა ნაკრებმა — 4:1 (1:0, 1:1, 2:0).

გუნდები ასე დააკომპლექტეს: პირველი ნაკრები — ტრეტიაკი; რაგულინი — ციგანკოვი, ვიკულოვი — მალცევი — ხარლამოვი; კუზკინი — გუსევი, მიხაილოვი — პეტროვი — ბლინოვი; ლუტჩენკო — ლიაპკინი, მარტინიუკი — შადრინი — იაკუშევი; მეორე ნაკრები — სიდელნიკოვი; ვასილიევი — შატალოვი, ლებედევი — ანისინი — ბოდუნოვი; ვოლჩენკოვი — ბლოხინი, მიშაკოვი — სოლოდუხინი — ვოლჩკოვი; ასტაფიევი — ორლოვი, კოტლოვი — შალიმოვი — დევიატოვი.

თამაში მაღალ ტემპში, მაგრამ თითქმის ძალისმიერი ბრძოლის გარეშე მიმდინარეობდა. პირველი პერიოდის უმეტეს ნაწილში მეორე ნაკრები უფრო აქტიურობდა და ტრეტიაკს დიდი ჯაფა დაადგა.

მე-19 წუთზე შადრინმა ანგარიში გახსნა.

შესვენების შემდეგ მეორე ნაკრების ახალგაზრდობამ იმძლავრა და 33-ე წუთზე სოლოდუხინმა საპასუხო შაიბა გაიტანა. მაგრამ პერიოდის მიწურულს შადრინმა ისევ დააწინაურა თავისი გუნდი.

მესამე პერიოდში უკვე აშკარად იგრძნობოდა პირველი ნაკრების უპირატესობა და კარგად მოთამაშე შადრინმა კიდევ ორი შაიბა გაიტანა.

# ხუთი რეკორდი, მაგრამ...

როგორც ვიუწყებოდით, ცურვაში ბავშვთა და მოზარდთა I რესპუბლიკურ ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგებით საქართველოს 14 წარმომადგენელმა საკავშირო სარბიელის საგზური მოიპოვა. ეს შეჯიბრება ამ დღეებში დამთავრდა უკრაინის დედაქალაქში. თბილისის განათლების განყოფილების საწყლოსნო სახეობების სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა ა. რეზნიკოვმა და ს. ნედელკომ კიევშიც წარმატებით იასპარეზეს.

ნედელკომ 100 მეტრი ბრასის სტილით 1 წუთსა და 14,3 წამში გაცურა და ფინიშთან მეორე იყო. შემდეგ იგი ამავე სტილით 200-მეტრიანი დისტანციის სტარტზეც დადგა და ჩემპიონობა იზეიმა — 2.41,6.

რეზნიკოვი ამ დისტანციებზე ორივეჯერ მესამე იყო ბატერფლაით ცურვაში (100 მ — 1.06,0, 200 მ — 2.26,8). ეს სპორტსმენი 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაშიც მონაწილეობდა და IV ადგილი დაიკავა — 2.30,3.

ხუთივე ეს შედეგი ახალ მიღწევად შევიდა საქართველოს რეკორდების ცხრილში.

ჩვენი რესპუბლიკის სხვა მოცურავეები, სამწუხაროდ, უხეიროდ გამოვიდნენ. გაგრელმა მოსწავლემ ლ. სუინამ ვერც ერთი საპატიო ადგილი ვერ მოიპოვა. მან მხოლოდ 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მისცა გუნდს ჩათვლა.

საქართველოს მოცურავეებმა 18 ქულა მოაგროვეს და 17 გუნდს შორის VII ადგილი ხვდათ. 18-დან 13 ქულა თბილისის განათლების განყოფილების საწყლოსნო სახეობების ბავშვთა სპორტსკოლის წილად მოდის. თავისი მონაპოვრით ეს სკოლა 119 მეტოქეში XVIII ადგილზე აღმოჩნდა. 5 ქულა განთიადელებმა დაიმსახურეს, „დინამოს" სპორტსკოლა კი უქულოდ დარჩა.

რესპუბლიკის სარბიელზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით ჩვენი მოცურავეებისგან მეტს მოველოდით.

**გ. თენგოშვილი.**

!

**რედაქციისგან:** ჩვენ თვალი გადავავლეთ ამასწინანდელი რესპუბლიკური ჩემპიონატის ტექნიკურ შედეგებს და ერთმა ამბავმა გაგვაოცა. თბილისში ს. ნედელკომ 100 მ ბრასით 1 წუთსა და 12,4 წამში „გაცურა", საკავშირო სარბიელზე ნაჩვენები მისი უარესი შედეგი კი რეკორდად ჩაითვალა.

რატომ? იქნებ მსაჯებმა და შეჯიბრების ორგანიზატორებმა ეს უცნაური ნაბიჯი იმიტომ გადადგეს, რომ ნედელკო საკავშირო პირველობაში გამოსულიყო?

თუ ასეა, ეს ხომ აშკარა სიყალბეა, რაც, სხვათა შორის, სპორტშიც ყოვლად დაუშვებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა







München 1972

17 დღეს გიზგიზებდა ოლიმპიური ცეცხლი მიუნჰენის ცენტრალურ სტადიონზე (იხ. ქვედა სურათი).

XIX ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნიდან — მექსიკიდან მიუნჰენში, სპორტსმენთა გარდა, მოცეკვავეები და მომღერლებიც ჩავიდნენ. ისინი სახელდახელო კონცერტებს მართავდნენ ბავარიის დედაქალაქში მოწყობილ ესტრადებზე. მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ მექსიკელ მოცეკვავეს ოლიმპიადის საზეიმო გახსნისადმი მიძღვნილი ცერემონიალის დროს.

როგორც ცნობილია, ამერიკელი ე. ბრენდეჯის ნაცვლად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად ირლანდიელი ლორდი მ. კილანინი აირჩიეს, მაგრამ ყოფილი პრეზიდენტი მაღალ პოსტზე მაინც დარჩა: იგი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს. მარცხენა სურათზე: ე. ბრენდეჯი (ცენტრში) თამაშების საზეიმო გახსნისას.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის მ. ზარგარიანის ფოტოები.

# გადამწყვეტ პარტიაში

თბილისის ფრენბურთელთა ჩემპიონატის პირველი დღის შეხვედრებში თუ გამარჯვებული გუნდების უპირატესობა მეტისმეტად აშკარა იყო, მესამე ტურის მატჩებში დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა.

ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა მეორე გუნდმა პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის კოლექტივის წინააღმდეგობა მხოლოდ მეხუთე პარტიაში დაძლია — 3:2 (16:18, 12:15, 15:4, 15:3, 15:11). ხუთი პარტია გათამაშდა ქალაქის განათლების განყოფილების გუნდისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი ნაკრების შეხვედრაშიც. გაიმარჯვეს მოსწავლეებმა — 3:2 (15:8, 10:15, 8:15, 15:13, 15:13). აღსანიშნავია, რომ სტუდენტები გადამწყვეტ პარტიას იგებდნენ ანგარიშით 12:7, მაგრამ მონაპოვრის შენარჩუნება ვერ შეძლეს.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა შედარებით იოლად დაამარცხა უნივერსიტეტის წარმომადგენლები — 3:0 (15:9, 15:13, 15:8). მომავალ ინჟინრებს ჩემპიონობა თითქმის ჯიბეში უდევთ, ვინაიდან საეჭვოა, რომ მათი წინსვლა ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე ნაკრებმა და განათლების განყოფილების გუნდმა შეაჩერონ.

ვაჟთა შორის ორი შეხვედრა გაიმართა. ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველმა ნაკრებმა დაამარცხა განათლების განყოფილების კოლექტივი — 3:0 (15:8, 15:4, 15:10), ხოლო ამავე ინსტიტუტის მეორე კოლექტივმა ძნელ ბრძოლაში სძლია უნივერსიტეტის გუნდს — 3:2 (15:6, 15:9, 5:15, 12:15, 15:9).

ამრიგად, ვაჟთა შორის დაუმარცხებლად მიდიან ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი ნაკრები და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივი, რომელთა შეხვედრა დღეს გაიმართება და თბილისის ჩემპიონიც გამოვლინდება.

მოგვყავს მეორე ტურის ტექნიკური შედეგები. **ქალები.** უნივერსიტეტი — ფიზკულტურის ინსტიტუტი II 3:1 (15:1, 15:8, 11:15, 15:11), პოლიტექნიკური ინსტიტუტი — ფიზკულტურის ინსტიტუტი I 3:1 (10:15, 15:3, 15:9, 15:12), პედინსტიტუტი — განათლების განყოფილება 3:0 (15:11, 15:11, 15:13). **ვაჟები.** ფიზკულტურის ინსტიტუტი II — „დინამო" 3:0 (15:10, 15:12, 15:2), ფიზკულტურის ინსტიტუტი I — უნივერსიტეტი 3:0 (15:2, 15:4, 15:7), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — „ლოკომოტივი" 3:0 (15:2, 15:2, 15:12).

ლ. კნოლეველი.

„ლელოს" მიმომხილველი ოლიმპიური თამაშების მედლის მეორე მხარეზე გვესაუბრება:

# დუან ბობიკის გაცრუებული იმედები

ამერიკის პროფესიულ კრივს გრძელი ხელები აქვს. იგი ხარბად ისრუტავს ყოველივე კარგს, რაც სამოყვარულო სპორტს გააჩნია. პროფესიული კრივის აგენტურა განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს ოლიმპიური თამაშების წელს და გულდასმით ადევნებს თვალს ახალი პოტენციური ვარსკვლავების ბრძოლებს სამოყვარულო რინგზე. სწორედ ამ გზით დაეპატრონა იგი წინა ოლიმპიადების ჩემპიონებს ფლოიდ პატერსონს, კასიუს კლეისა და ბევრ სხვას, რომლებიც შემდგომ პროფესიული კრივის კერპებად აქცია.

მიუნხენის ოლიმპიადის წინ ამერიკელები დიდ იმედს ამყარებდნენ მძიმეწონოსან დუან ბობიკზე. მას თითქოს ყველაფერი რიგზე ჰქონდა: იგი ახალგაზრდა იყო, ჯან-ღონით სავსე, ორივე ხელით ძლიერად ურტყამდა, ბრძოლების უმრავლესობას ნოკაუტით იგებდა...

ბობიკს დიდი ხანია თვალი დაადგეს პროფესიული კრივის მეცენატებმა. განსაკუთრებით იმიტომ, რომ თეთრკანიანია. ზღაპრულ ჰონორარსაც (3 მილიონ დოლარს) შეჰპირდნენ, თუ ოლიმპიურ ტურნირს მოიგებდა და მერე პროფესიონალებში გადასვლას მოისურვებდა.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ბობიკის ნატვრას წინ აღუდგა ნიჭიერი კუბელი მოკრივე ტ. სტივენსონი, რომელმაც აშკარად დაჯაბნა ამერიკელთა იმედი.

პროფესიული კრივის მეცენატები პრინციპულობითა და ჰუმანურობით არ გამოირჩევიან. მათ უმალვე აიღეს ხელი დამხობილ მოკრივეზე, სამაგიეროდ, კბილები აუკაწკაწდათ სტივენსონის გვარის გაგონებაზე.

რა გზით აპირებენ ამ ჩინებული მოკრივის გადაბირებას, ძნელი სათქმელია. მაგრამ ის კი ცხადია, რომ სტივენსონმა ძირფესვიანად არივდარია პროფესიული კრივის გეგმები.

# ოლიმპიური სარბიელიდან ბიზნესის ჭაობში

როგორც ცნობილია, მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში ამერიკელმა მოცურავემ მარკ სპიტცმა თავისებური რეკორდი დაამყარა — ერთ ოლიმპიადაში 7 ოქროს მედალი დაისაკუთრა! ასეთი წარმატება თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებში არც ერთ სპორტსმენს არ ჰქონია. სპიტცი მართლაც ფენომენალური სპორტსმენია, მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლის ხელს უაღრესად პრაქტიკულიც იყოს. ამერიკელი მოცურავე თავისი საზოგადოების ტიპიური წარმომადგენელია: სასიამოვნო ემოციებს მუდამ სასარგებლო საქმეს უფარდებს.

სპიტცმა ერთხელ განაცხადა, რომ მისი იდეალი სპორტსა და პირად ცხოვრებაში ბობი ფიშერია და ცდილობს თავისი კარიერა ფიშერივით წარმართოს. ოლიმპიადის გმირმა ჯერ კიდევ მიუნჰენში განაცხადა, რომ პირწმინდად მოიხადა ვალი სპორტის წინაშე და ახლა მზადაა მისი ნაყოფი მოიმკას. ამერიკელ მოცურავეს დიდი ცდა არ დასჭირდა. წინადადებები ნიაღვარივით წამოვიდა და ყელამდე საქმეში ჩაფლული სპორტსმენი მათს გულდასმით შესწავლას შეუდგა.

ერთმა წინადადებამ სხვებზე უფრო მეტად მიიპყრო საქმიანი ჩემპიონის ყურადღება. წინადადების ავტორი სპორტული ინვენტარის ცნობილი ინგლისური ფირმაა. ამ ფირმის დირექტორი სიდნეი სოლომონი სპიტცს სწერდა: „რეკლამის მიზნით თქვენი სახელის გამოყენებისთვის ფირმა უყოყმანოდ გაიღებს მილიონ დოლარს".

მილიონი დოლარი თუ ისევ სპორტული სარბიელი, შეჯიბრებები, გამარჯვებები, სახელი და დიდება? სპიტცი რომანტიკოსი არ გახლავთ და იგი ასეთ წინადადებას ხელიდან არ გაუშვებს. სამოყვარულო სპორტის სტატუსის დარღვევა მას ოდნავადაც არ აწუხებს. სპიტცმა პირდაპირ თქვა, რომ სპორტს თავს მიანებებს, როგორც კი სარფიან საქმეს მონახავს. როგორც ჩანს, ჯერჯერობით უკეთესი წინადადება ოლიმპიური ჩემპიონისთვის არ მიუციათ. სპიტცი კი ჟიუტად ელოდება რომელიმე ჰოლივუდელი კინორეჟისორის ზარს.

ამასობაში ამერიკელი მოცურავე საფრანგეთის სპორტის აკადემიამ თავის საპატიო წევრად აირჩია, სპეციალურმა ჟიურიმ კი თვის საუკეთესო სპორტსმენად გამოაცხადა (აკადემია ყოველთვიურად ასახელებს საუკეთესო სპორტსმენებს, მერე შედეგებს აჯამებს და დიპლომს წლის საუკეთესო სპორტსმენს გადასცემს). ფრანგი მიმომხილველების აზრით, ჟიურის გადაწყვეტილებას ორგვარი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, მან სიმპათია გამოხატა ღირსეული სპორტსმენის მიმართ და, მეორეც, შეეცადა სპიტცი სპორტისთვის შემოენახა. მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონი ამ ანკესს რას წამოეგება!

ფრანგული აკადემიის ლაურეატთა შორის ბევრი სახელმოხვეჭილი სპორტსმენი და კოლექტივია, ისეთები, როგორიც არიან, მაგალითად: მათესი (ცურვა), ალექსეევი (ძალოსნობა), ნეპელა (ფიგურული ციგურაობა), ფრეზიერი (კრივი), სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა გუნდი, მერქსი (ველოსპორტი), როზუოლი (ჩოგბურთი), შენკი (ციგურაობა), პულიდორი (ველოსპორტი), ჰოლანდიის ფეხბურთელთა კლუბი „აიაქსი". ნეცერი (ფეხბურთი). სპიტცი ბოლო ლაურეატია. მაგრამ მისი გვარი, როგორც ჩანს, არასდროს განმეორდება ამ სიაში — ოლიმპიური ჩემპიონი ნელ-ნელა შორდება სპორტულ სარბიელს და ბიზნესის ჭაობში ეფლობა.

# ფეხბურთი-72

## სსრ კავშირის პირველობა

### I ლიგა

## წაგება აუტსაიდერთან

ქუთაისის „ტორპედომ“ გუშინწინ კრივოი როგში ითამაშა ადგილობრივ „კრივბასთან“. მასპინძლები გათამაშების ცხრილში ბოლოდან III ადგილზე არიან და სწორედ აუტსაიდერთან მოუხდათ ქუთაისელ ფეხბურთელებს ფარ-ხმალის დაყრა — 1:3.

● ●

### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 4:1, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) 0:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „შახტიორი“ (დონეცკი) 2:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „ზვეზდა“ (პერმი) 2:2, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 0:2, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 1:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:2, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 2:0, „პამირი“ (დუშანბე) — „ალგა“ (ფრუნზე) 2:2.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთ.“ | 29 | 18 | 6 | 5 | 50—22 | 42 |
| „ჩერნომ.“ | 29 | 16 | 7 | 6 | 56—29 | 39 |
| „შახ.“ (დ.) | 29 | 13 | 11 | 5 | 40—16 | 37 |
| „ტორპ.“ | 29 | 16 | 4 | 9 | 40—23 | 36 |
| „შინიკი“ | 29 | 14 | 8 | 7 | 33—24 | 36 |
| „ზვეზდა“ | 30 | 12 | 11 | 7 | 35—30 | 35 |
| „კრ. სოვ.“ | 29 | 9 | 15 | 5 | 34—26 | 33 |
| „პამირი“ | 29 | 10 | 10 | 9 | 36—38 | 30 |
| „სპარტაკი“ | 29 | 10 | 9 | 10 | 33—37 | 29 |
| „ალგა“ | 30 | 8 | 12 | 10 | 32—30 | 28 |
| „შახ.“ (ყ.) | 30 | 9 | 10 | 11 | 30—38 | 28 |
| „ტექსტ.“ | 29 | 9 | 9 | 11 | 28—38 | 27 |
| „ავტომ.“ | 29 | 7 | 12 | 10 | 23—32 | 26 |
| „სტროიტ.“ | 30 | 9 | 8 | 13 | 30—46 | 26 |
| „მეტალურ.“ | 29 | 9 | 7 | 13 | 36—38 | 25 |
| „ნისტრუ“ | 29 | 7 | 10 | 12 | 28—35 | 24 |
| „მეტალ.“ | 29 | 7 | 9 | 13 | 24—32 | 23 |
| „კრივბასი“ | 29 | 6 | 9 | 14 | 36—50 | 21 |
| „დინამო“ | 29 | 5 | 10 | 14 | 21—42 | 20 |
| „ურალმ.“ | 29 | 5 | 9 | 15 | 25—44 | 19 |

### II ლიგა III ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 29 | 17 | 9 | 3 | 47—13 | 43 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 28 | 16 | 9 | 3 | 49—22 | 41 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 29 | 16 | 5 | 8 | 37—29 | 37 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 29 | 12 | 12 | 5 | 44—31 | 36 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 29 | 12 | 9 | 8 | 40—27 | 33 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 28 | 12 | 8 | 8 | 36—24 | 32 |
| „მაშინოსტროიტელი“ (პოდ.) | 29 | 13 | 6 | 10 | 31—27 | 32 |
| „ზვეზდა“ (ტირასპოლი) | 28 | 13 | 5 | 10 | 27—21 | 31 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 28 | 13 | 5 | 10 | 40—37 | 31 |
| „სალიუტი“ (ბელგოროდი) | 29 | 10 | 10 | 9 | 28—32 | 30 |
| „დილა“ (გორი) | 30 | 9 | 10 | 11 | 28—31 | 28 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 29 | 10 | 8 | 11 | 30—33 | 28 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 28 | 9 | 7 | 12 | 34—34 | 25 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 28 | 7 | 10 | 11 | 28—39 | 24 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 29 | 8 | 6 | 15 | 32—45 | 22 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 29 | 6 | 9 | 14 | 27—42 | 21 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 30 | 6 | 8 | 16 | 22—40 | 20 |
| „სპარტაკი“ (ორიოლი) | 30 | 3 | 11 | 16 | 26—42 | 17 |
| „შრ. რეზერვები“ (კურსკი) | 29 | 7 | 3 | 19 | 27—64 | 17 |

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა პირველი ჯგუფის გუნდების მორიგი შეხვედრები.

● „ისანი“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

ბურთი 56-ე წუთზე გაიტანა თბილისელმა ჟუკოვმა.

რამდენიმეჯერ ხელით თამაშისთვის გაფრთხილებულია ხობელი მ. ზაქარაია.

● „სამცხე“ (აწყური) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 3:1. მსაჯი ნ. მუხაშავრია.

პირველ ნახევარში მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობა ორი გოლით გამოიხატა: მე-9 წუთზე მარტინენკომ ანგარიში გახსნა, მე-18 წუთზე კი ზუბოვმა მეორედ აიღო სტუმართა კარი.

შესვენების შემდეგ გორელებმა უკეთესად ითამაშეს — მე-60 წუთზე ბაქრაძემ ერთი ბურთით შეამცირა ანგარიშში სხვაობა, რევაზიშვილმა კი ორჯერ მოახვედრა ბურთი აწყურელთა კარის ძელს, თანაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო მასპინძელთა მეკარემ ვეჯუამ. მაგრამ აი, ტაიმის მიწურულს ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს ზუბოვმა მესამე გოლი გაიტანა.

● „სულორი“ (ვანი) — ასკ (თბილისი) 0:1. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

ბურთი მასპინძელთა კარში გაიტანა ალანიამ.

● „ივერია“ (ხაშური) — „კოლმეურნე“ (წულუკიძე) 2:0. მსაჯი ო. სირაბიძე (ბათუმი).

ბურთები გაიტანეს ლურსმანაშვილმა და ულუმბელაშვილმა.

მსაჯთან შეკამათებისთვის გაფრთხილებულია წულუკიძელი ბ. ვაშაკიძე, ხოლო მსაჯის შეურაცხყოფისთვის წულუკიძელი ე. ჩიმაკაძე მინდვრიდან იქნა გაძევებული.

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „განთიადი“ (ბორჯომი) 3:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

თამაში ლოკომოტიველთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, პირველი ტაიმი უგოლოდ დამთავრდა. ეს უპირატესობა შესვენების შემდეგ იქნა გამოყენებული: ჯერ ჯაფარიძემ, შემდეგ კი ორჯერ ქანთარიამ სამი „მშრალი“ ბურთი გაიტანეს ბორჯომელთა კარში.

11-მეტრიანი დარტყმა ვერ გამოიყენა თბილისელმა კაველიძემ.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:3. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

მე-15 წუთზე ტყიბულელმა თოდიძემ ანგარიში გახსნა, 25-ე წუთზე კი გიორგობიანმა მასპინძლებს ისევ დააწყებინა ცენტრიდან თამაში. 55-ე წუთზე ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა რუხაიამ, ხოლო 2 წუთის შემდეგ საჯარიმო დარტყმით გიორგობიანმა მესამედ აიღო მასპინძელთა კარი.

90-ე წუთზე ცხაკაიელმა ქაჩიბაიამ ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:3. მსაჯი გ. ნადიროვი (რუსთავი).

თამაში დაიწყო მაღალ ტემპში, მასპინძელთა უპირატესობით, რომელიც სულ ათ წუთს გაგრძელდა. ამის შემდეგ სამტრედიელებმა იმარჯვეს და უკვე მე-18 წუთზე დვალიშვილმა ანგარიში გახსნა.

მეორე ნახევარი კვლავ სამტრედიელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. 55-ე წუთზე მანჯგალაძემ მეორე გოლი გაიტანა, ხოლო 75-ე წუთზე კოხრეიძემ მესამე ბურთი მოათავსა მეტოქეთა კარში.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია სამტრედიელი კ. კალაძე. ეს მისი მეორე გაფრთხილებაა ამ სეზონში. მინდვრიდან გააძევეს ზესტაფონელი ა. წოწონავა, რომელმაც უბურთო მეტოქეს ფეხი გაარტყა.

● „დინამო“ (ზუგდიდი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 4:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „კახეთი“ (თელავი) 0:1. მსაჯი ა. მკუასელი (თბილისი).

ბურთი მე-9 წუთზე გაიტანა ლ. ელისაშვილმა.

* * *

გაიმართა რამდენიმე გამოტოვებული შეხვედრა.

● „ივერია“ (ხაშური) — „სამცხე“ (აწყური) 1:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — ასკ (თბილისი) 2:2. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

### II ჯგუფი

#### I ზონა

„გარისი“ (თეთრი წყარო) — „მევარდენი“ (თბილისი) 0:1, „მევენახე“ (ბოლნისი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 1:1, „შირაქი“ (წითელი წყარო) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 0:2, „მევენახე“ (ვაზისუბანი) — „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) 1:2, „ვაზი“ (შრომა, გურჯაანის რაიონი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ვარძია“ (ასპინძა) 0:1.

ყვარლის „დურუჯს“ მოგება ჩაეთვალა დუშეთის „არაგვთან“.

#### II ზონა

„განახლება“ (ადიგენი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 6:0, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:1, „სქური“ (წალენჯიხა) — „განთიადი“ (აბაშა) 3:2, „დიოსკურია“ (სოხუმი) — „კომეტა“ (ფოთი) 2:1, „მზიური“ (გალი) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 3:0, „იმერეთი“ (თერჯოლა) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 3:1, „დინამო“ (ქუთაისი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 0:0.

### ზონალური შეჯიბრებები

„მუკუზანი“ (გურჯაანი) — „ნაფარეული“ (თელავი) 4:3, „ქისტაური“ (ახმეტა) — „იორი“ (თიანეთი) 2:1.

გარდაბნის „რუბეროიდს“ მოგება ჩაეთვალა სიღნაღის „ძველ ანაგასთან“, ხოლო მარნეულის „განთიადს“ — ახალქალაქის „აბულთან“.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 21 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 29 | 19 | 8 | 2 | 52—28 | 46 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 29 | 19 | 7 | 3 | 58—22 | 45 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 29 | 17 | 8 | 4 | 52—18 | 42 |
| „მუქურა“ (ქობულეთი) | 28 | 14 | 7 | 7 | 44—38 | 35 |
| „სულორი“ (ვანი) | 29 | 13 | 7 | 9 | 31—24 | 33 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 29 | 11 | 10 | 8 | 46—38 | 32 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 27 | 11 | 8 | 8 | 47—30 | 30 |
| „სამცხე“ (აწყური) | 30 | 11 | 7 | 12 | 50—45 | 29 |
| „ისანი“ (თბილისი) | 30 | 10 | 9 | 11 | 29—30 | 29 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 28 | 11 | 7 | 10 | 26—28 | 29 |
| „კახეთი“ (თელავი) | 26 | 12 | 4 | 10 | 35—35 | 28 |
| „ივერია“ (ხაშური) | 30 | 11 | 5 | 14 | 28—47 | 27 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 30 | 10 | 6 | 14 | 36—49 | 26 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 29 | 11 | 3 | 15 | 50—49 | 25 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 29 | 9 | 6 | 14 | 29—45 | 24 |
| ასკ (თბილისი) | 25 | 7 | 9 | 9 | 31—30 | 23 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 27 | 7 | 8 | 12 | 16—28 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 26 | 7 | 7 | 12 | 31—36 | 21 |
| „განთიადი“ (ბორჯომი) | 28 | 4 | 9 | 15 | 35—52 | 17 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 29 | 5 | 7 | 17 | 22—43 | 17 |
| „კოლმეურნე“ (წულუკიძე) | 27 | 4 | 6 | 17 | 11—44 | 14 |

## „ოქროს თავთავის“ თასზე

ედინეცი (მოლდავეთი), 18 სექტემბერი. აქ დამთავრდა სოფლის ფეხბურთელთა გუნდების ტრადიციული საკავშირო თასის — „ოქროს თავთავის“ გათამაშება. ეს საპატიო ჯილდო მოსკოვის გარეუბნის „ოსტანკინოს“ საბჭოთა მეურნეობის გუნდმა მოიპოვა.

II ადგილი და გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ თასი მიეკუთვნათ ყაზახეთის მეთამბაქოობის საბჭოთა მეურნეობა „ალმა-ათინსკის“ ფეხბურთელებს.

III ადგილი და ჟურნალ „სელსკაია მოლოდიოჟის“ თასი კრასნოდარის მებრინჯეობის საბჭოთა მეურნეობა „კრასნოარმეისკის“ წარმომადგენლებს ხვდათ.

## მოსკოვის საერთაშორისო...

მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე მიმდინარეობს სოციალისტური ქვეყნების დინამოელ ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ „სპარტაკ-ლევსკი“ (ბულგარეთი), „დოჟა“ (უნგრეთი), „დინამო“ (გდრ), „გვარდია“ (პოლონეთი), „ამნოკანი“ (კსდრ), „დინამო“ (რუმინეთი), „რუდა გვეზდა“ (ჩეხოსლოვაკია) და „დინამო“ (სსრ კავშირი).

ტურნირის პირველ დღეს სსრ კავშირის „დინამო“ „ამნოკანს“ შეხვდა. მასპინძელთა გუნდს (იგი დაკომპლექტებულია მოსკოვის, კიევის, თბილისისა და მინსკის ფეხბურთელებით) ერთობ გაუჭირდა წარმატების მოპოვება. კორეელებმა განსაკუთრებით კარგად შესვენებამდე ითამაშეს და არაფერში დაუდეს ტოლი მეტოქეებს. მეორე ტაიმში საბჭოთა გუნდმა უკეთესად ითამაშა და პავლენკოს ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვა — 1:0.

მეორე დღეს სსრ კავშირის „დინამო“ შეხვდა გდრ-ის „დინამოს“ და დიდი ანგარიშით სძლია მეტოქეს — 4:0.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „დოჟა“ — „გვარდია“ 3:2, „დინამო“ (გდრ) — „დინამო“ (რუმინეთი) 1:0, „რუდა გვეზდა“ — „სპარტაკ-ლევსკი“ 2:2, „დოჟა“ — „რუდა გვეზდა“ 2:1, „დინამო“ (რუმინეთი) — „ამნოკანი“ 2:1, „გვარდია“ — „სპარტაკ-ლევსკი“ 1:1.

## რეკორდების კორიანტელი

მიუნხენის ოლიმპიური თამაშების წინ თბილისის ახალ, ხისსაფარიან ველოტრეკზე გაიმართა სსრ კავშირის უძლიერეს სპრინტერთა საწვრთნელი გამოსვლები. ამ შეჯიბრების შემდეგ გამოითქვა აზრი, რომ ჩვენი ველოსტადიონის ოვალი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში და, შესაძლოა, დედამიწის ზურგზეც. ახლა, როცა XX ოლიმპიადა დამთავრდა, სპეციალისტები ერთხმად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს დედაქალაქის ველოტრეკი მართლაც ერთ-ერთი ყველაზე „სწრაფი“ ასპარეზია მსოფლიოში.

ამ აზრის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ამ რამდენიმე დღის წინ დამთავრებული ოფიციალური ღია ტურნირი, რომელიც სპორტის ოსტატ თ. გელაძის ხსოვნას მიეძღვნა. ასპარეზობაში ადგილობრივ ველოსიპედისტებთან ერთად მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის“, „ტრუდის“, „ლოკომოტივის“, „სპარტაკის“ წარმომადგენლები სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან. შეჯიბრების შედეგებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

ველოსპორტში სისწრაფის აბსოლუტურ რეკორდს მხოლოდ სპრინტერები აღწევენ, ამიტომ სპრინტში ნაჩვენები შედეგით თამამად შეიძლება ვიმსჯელოთ თვით ველოსტადიონის ხარისხზე. მსოფლიოს უმაღლესი მიღწევა ბოლო 200 მეტრზე რბოლაში ეკუთვნის ქართველ ველოსიპედისტს ო. ფხაკაძეს და 10,61 წამს უდრის. ამ შედეგს ფხაკაძემ 1968 წელს მეხიკოს მაღალმთიან ველოტრეკზე მიაღწია. სსრ კავშირის ოფიციალური რეკორდი დაბლობის ველოსტადიონებისთვის კი მხოლოდ 11,1 წამია.

და აი, რამდენიმე დღის წინ თბილისის ველოტრეკზე „განთიადის“ გუნდის წევრმა ი. ვოლკოვმა ბრწყინვალე შედეგი აჩვენა სპრინტერული შეჯიბრების ბოლო 200 მეტრზე. მისი შედეგი — 10,64 წამი — საგრძნობლად აღემატება საკავშირო რეკორდს.

ვოლკოვი ამ ტურნირში გამონაკლისი არ იყო. თბილისის ველოტრეკმა სხვა სპორტსმენებსაც აუშალა საღერღელი და დაიწყო რეკორდების შტურმი მთლიანი ფრონტით. ჯერ იყო და, თავი ისახელა ლენინგრადელმა სპრინტერმა ვ. ოსოკინმა („ლოკომოტივი“), რომელმაც 200 მ 11,27 წამში დაფარა და იუნიორთა საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა. შემდეგ ოსოკინის შედეგს გადააჭარბა თბილისის „ბურევესტნიკის“ წარმომადგენელმა ვ. ოვსეპიანმა (სხვათა შორის, იგი პირველთანრიგოსანია) — 11,21. ამრიგად, ამ დღეს ორჯერ დაემხო ს. კრავცოვის მიერ 1966 წელს დამყარებული იუნიორთა საკავშირო რეკორდი — 11,3.

და მაინც, ამ ტურნირის ჭეშმარიტ გმირად უნდა მივიჩნიოთ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ლენინგრადელი გ. ცარიოვა („ლოკომოტივი“), რომელმაც სამჯერ გადააჭარბა მსოფლიო რეკორდს 200 და 500-მეტრიან დისტანციებზე სვლით. 200 მეტრზე ცარიოვამ თავდაპირველად 12,18 წამი აჩვენა. მაგრამ სპორტსმენი გრძნობდა, რომ ამ მონაკვეთის უკეთ გავლა შეეძლო. და მართლაც, მაყურებლები მქუხარე ტაშით შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონის ახალ წარმატებას — 12,02. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლ. რაზუვაევას მიერ ირკუტსკში დამყარებულმა მსოფლიო რეკორდმა (12,3) 17 წელს იარსება. 500-მეტრიან დისტანციაზე ცარიოვას დრო 31,75.

შეჯიბრებაში კიდევ რამდენიმეჯერ გამოიჩინა თავი სსრ კავშირის მოსწავლეთა (გზატკეცილზე) და მოზრდილთა (ტრეკზე) შორის ჩემპიონმა ოსოკინმა. მან ჯერ გააუმჯობესა მოსკოველი ა. არონოვის („ტრუდი“) მიერ დამყარებული საკავშირო რეკორდი 5 კილომეტრზე რბოლაში (6.16,83) და აჩვენა 6.12,17, მერე კი 4 და 10-კილომეტრიან მანძილებს მიადგა და რიგრიგობით დაამხო ძველი საკავშირო რეკორდები (პირველ დისტანციაზე მისი დრო 4.52,86, მეორეზე — 12.50,47).

თბილისის ახალმა ველოტრეკმა წარმატებით გაიარა კიდევ ერთი გამოცდა. იგი მართლაც საამაყო სარბიელია სამწუხაროდ, ამ ნაგებობის შინაარსს სრულებით არ შეეფერება მისი გარეგნული ფორმა. ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და კაცმა არ იცის როდის დამთავრდება ტრიბუნებისა და დამხმარე სათავსოების მშენებლობა. ასეთ პირობებში კი იდეალური ხის საფარს მხოლოდ საბჭოთა ველოსიპედისტების მასპინძლობა თუ შეუძლია. თბილისში ჩამოსვლის სურვილი კი სხვადასხვა დროს ბევრ უცხოელ ვარსკვლავს გამოუთქვამს. ფრიად საწყენია, რომ ჯერჯერობით მათი დაპატიჟების საშუალება არა გვაქვს.

ნ. ახვლედიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვალმოხდილი ვეტერანი

## ა. ალფაიძის 50 წლისთავის გამო



იქნებ ბევრს აღარც კი ახსოვს, რომ 33 წლის წინათ ქუთაისს ავთანდილ ალფაიძის სახით პირველი სპორტის ოსტატი შეეძინა, ეს იყო 1939 წლის დეკემბერს.

...1936 წლის აპრილში 14 წლის ქუთაისელმა მოსწავლემ პირველად შეაღო სპორტული სკოლის კარი. ავთანდილს გულისხმიერად შეხვდა აწ განსვენებული მწვრთნელი რობერტ მირიმანოვი. ჭაბუკი ტანმოვარჯიშე სექციაში ჩარიცხეს. მაშინდელ ტანმოვარჯიშეთა ჯგუფი ძირითადად რუსული სკოლის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული. ჯგუფში ირიცხებოდნენ გ. გაბრიჩიძე, ვ. შეპოვალენკო, ა. ფიჩხაძე (დიდ სამამულო ომში დაიღუპნენ), დიდი სამამულო ომის მონაწილენი ი. თავდიდიშვილი, ს. ოსიპოვი, ლ. არუცევი და გ. ჯიშკარიანი.

ტანვარჯიშს ქუთაისში 1935 წელს ჩაეყარა მტკიცე საფუძველი. ამ საქმის თაოსანი- რ. მირიმანოვი გახლდათ. იგი ლენინგრადიდან ჩამოვიდა, სპეციალობით ექიმი გახლდათ, მაგრამ ტანვარჯიში ისეთი გატაცებით უყვარდა, ექიმობას უღალატა და სპორტის რთულ გზას გაჰყვა. მას სიცოცხლის ბოლო დღემდე არ უღალატნია ქუთაისისთვის (გარდაიცვალა 1949 წელს), ჩვენს ქალაქში 14 წელს იმუშავა და ამ დროის მანძილზე 15-მდე სპორტის ოსტატი აღუზარდა რესპუბლიკას.

...დაუღალავ, თავდადებულ წვრთნაში გადიოდა დრო და ავთანდილი დღითი-დღე ოსტატდებოდა. ბუნებრივ მონაცემებთან ერთად მან შესაშური შრომისმოყვარეობის წყალობით სამ წელიწადში მიაღწია სანუკვარ ოცნებას: სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ავთანდილი მაშინ 18 წლისაც არ იყო. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს პირად-გუნდური პირველობა მიმდინარეობდა. ჭაბუკი სპორტსმენის წარმატებას მრავალრიცხოვანი მაყურებელი ტაშით შეხვდა. ალფაიძესთან ერთად სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს თბილისელმა მოსწავლეებმა შოთა დოჭვირმა, ოლღა კლიმჩუკმა და სხვ.

გადიოდა წლები. ა. ალფაიძე სულ უფრო მეტი სპეციალისტის ყურადღებას იქცევდა. 1940-1955 წლებში იგი თითქმის უცვლელი წევრი იყო საქართველოს ნაკრები გუნდისა. ამ დროის მანძილზე ბევრჯერ ყოფილა სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაშიც.

ა. ალფაიძე წარმატებით იცავდა ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე, ბევრჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი რგოლებსა და ძელზე ვარჯიშში, ხოლო 1950, 1951 და 1952 წლებში „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდებას ატარებდა.

ავთანდილს არც საზღვარგარეთ შეურცხვენია ჩვენი სამშობლო. სხვა გამორჩეულ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებთან ერთად პრაღასა და ვარშავაში 1948 წელს გამოდიოდა ტანვარჯიშულ იარაღებზე. ეს შეჯიბრებები საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფით დამთავრდა (ავთანდილთან ერთად იქ სხვა ქუთაისელებიც მონაწილეობდნენ: გ. დვალი, რ. ბასილაია და შ. ჩაჩხიანი).

ალფაიძე განსაკუთრებით ძლიერი იყო ძელზე ვარჯიშში. ამ იარაღზე ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. ამავე დროს, ავთანდილს მონაწილეობა მიუღია თითქმის ყველა ფიზკულტურულ აღლუმში, ბევრ საჩვენებელ გამოსვლაში.

ა. ალფაიძე 1958 წელს სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. იმავე წელს დიდი ნდობა გამოუცხადეს: კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს.

... როცა წარსულზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ავთანდილი გულთბილად, უსაზღვრო მადლობის გრძნობით იგონებს ტანმოვარჯიშეთა დიდებულ პლეადას — აწ განსვენებულ გ. რცხილაძეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს ა. ჯორჯაძეს, გ. ბაბილოძეს, ლ. ყანჩაველს, ნ. თაყაიშვილს...

— მე წილად მხვდა ბედნიერება მათს მხარდამხარ გამოვსულიყავი რესპუბლიკურ თუ საკავშირო სარბიელზე, — ამბობს ავთანდილი.

ვალმოხდილი ვეტერანი აქტიურად განაგრძობს შრომით საქმიანობას — ბავშვთა ტანვარჯიშულ სპორტულ სკოლაში მეთოდისტად მუშაობს.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

* * *

სურათზე: 1947 წ. ქუთაისის „დინამოს" სტადიონი. ძელზე ვარჯიშობს ა. ალფაიძე.

ბ. მაღლაფერიძის ფოტორეპროდუქცია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# ლომბარდის გულახდილი საუბარი

ალბათ გახსოვთ, სპასკი—ფიშერის მატჩის წილისყრაზე ამერიკელი მოჭადრაკის დავალებით გამოცხადებული მღვდლის ანაფორაში გამოწყობილი კაცი ბევრმა ჟურნალისტმა რომ ვერ იცნო. ეს პასტორი ცნობილი ამერიკელი დიდოსტატი უ. ლომბარდი გახლდათ, რომელიც ფიშერმა თავის სეკუნდანტად მიიწვია.

ლომბარდი 35 წლისაა. 1957 წელს მან ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა, დიდოსტატი კი 1960 წელს გახდა. ლომბარდიმ თეოლოგიის ინსტიტუტი დაამთავრა.

რეიკიავიკში ლომბარდის ბევრი საზრუნავი ჰქონდა. იგი ფიშერთან ერთად აანალიზებდა პარტიებს, სალამოებს მასთან ატარებდა, დაჰყვებოდა სამატჩო დარბაზში, ტბაზე საბანაოდ... პარტიის დროს ლომბარდი პირში გაჩრილი დიდი სიგარით პრეს-ცენტრში ტრიალებდა, ან ტელეფრანთან იჯდა. სათამაშო დარბაზში თითქმის არ შედიოდა.

ცხადია, ლომბარდის კორესპონდენტები შემოდგომის ბუზივით თავს ეხვია, მაგრამ ამერიკელი ინტერვიუს მათ მხოლოდ მატჩის შემდეგ ჰპირდებოდა.

და აი, მატჩიც დამთავრდა. ლომბარდიმ ინტერვიუ იუგოსლავიის გაზეთ „სპორტის" კორესპონდენტს, ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტს, იუგოსლავიის მოჭადრაკეთა კავშირის თავმჯდომარეს ბ. კაჟიჩსაც მისცა. გთავაზობთ ამ ინტერვიუს მცირე შემოკლებით.

თ. გიორგაძე.

● როგორ მოხდა, რომ ფიშერმა სეკუნდანტად მიგიწვიათ, როცა უწინ მასზე მუდამ უარს ამბობდა?

— ბობის შეუძლია უსეკუნდანტოდ თამაში. მას კარგად აქვს დამუშავებული სადებიუტო რეპერტუარი, თავად ამოწმებს საკუთარ ანალიზებს, დაუღალავად არჩევს გადადებულ პარტიას. მაგრამ მასაც აქვს მოთხოვნილება ჰყავდეს სიტყვის გამცემი ადამიანი, მეგობარი, რომელთანაც ერთად მოემზადება პარტიის სათამაშოდ. მას შეუძლია მთელი სალამო ანალიზში გაატაროს და გართობაზე სრულებით არ იფიქროს.

● რატომ მაინცდამაინც თქვენ შემოგთავაზათ ფიშერმა თავისი სეკუნდანტობა?

— უწინ ორჯერ დავეხმარე მას: 1958 წელს პორტოროჟის საზონათაშორისო ტურნირში, მანამდე კი, 1957 წელს, ფილიპინელ ოსტატ კარდოსოსთან მატჩში. ამჯერად ზუსტად სპასკისთან შეხვედრის წინ მთხოვა მისთვის სეკუნდანტობა გამეწია.

● როგორ აფასებთ მატჩში გამართულ ბრძოლას? ამბობენ, რომ XIII პარტიამ გადაწყვიტა ორთაბრძოლის ბედი.

— ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა V პარტიას. მან უზრუნველყო ფიშერის გამარჯვება.

● ფიშერის წარმატებაზე რას იტყვით?

— ჩემი აზრით, სპასკი არ მოელოდა, რომ ფიშერი განახლებული სადებიუტო რეპერტუარით ითამაშებდა. ის ალბათ ფიქრობდა, ბობი თავის ტრადიციულ სისტემებს მიმართავსო. ამიტომ მისთვის დიდად მოულოდნელი იყო ფიშერის მხრიდან ლაზიერის გამბიტის გამოყენება. ფიშერმა ტარტაკოვერის სისტემაც ითამაშა. სწორედ მოულოდნელობას უნდა მივაწეროთ ის, რომ მე-20 სვლისთვის სპასკის უკვე უარესი პოზიცია ჰქონდა. რამდენადაც ვიცი, სპასკის პეტროსიანთან მატჩისთვის მოსამზადებლად სამი თვე ჰქონდა, ფიშერთან კი ორი თვე. ამიტომ ახლა იგი უკეთ მომზადებული უნდა ყოფილიყო. აქვე მინდა ვთქვა, რომ გადადებული პარტიების ანალიზში ჩვენ არც ერთი შეცდომა არ დაგვიშვია.

● როგორ აფასებთ ფიშერის გამარჯვებას?

— ჩემპიონის ტახტზე ავიდა ადამიანი, რომელმაც საკუთარი თავი მთლიანად ჭადრაკს დაუთმო.

● რამდენ ხანს იქნება ფიშერი ჩემპიონი?

— ვიდრე ხანდაზმულობაში შევა, დაახლოებით, 20 წელიწადს.

● ვინ შეიძლება შეეცილოს მას ჩემპიონობაში?

— მისი მომავალი მეტოქე ახალგაზრდებში უნდა ვეძიოთ. შეიძლება ეს იყოს მეკინგი, ბრაუნი, ლიუბოევიჩი...

# ოლიმპიადის ირგვლივ

## მოლოდინს გადააჭარბა

XX ოლიმპიადის მთავარმა მსაჯმა, ფიდე-ს პრეზიდენტმა, დოქტორმა მ. ეივემ (ჰოლანდია) თქვა:

— ვიცოდი, რომ საიუბილეო ოლიმპიადას დიდძალი მონაწილე ეყოლებოდა, მაგრამ სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა: თითქმის 600 დიდოსტატი და ოსტატი შეეჯიბრება ერთმანეთს. ეს ციფრი მსოფლიოში ჭადრაკის დიდი პოპულარობის შესანიშნავი დასტურია.

## დაბინავდნენ „პანორამაში"

საბჭოთა მოჭადრაკეთა გუნდი ბასტუმრო „პანორამაში" დაბინავდა. ყველა აღნიშნავს, რომ ეს კოლექტივი ძლიერი, თანაბარი ძალის მოჭადრაკეებითაა შედგენილი.

იმასაც აღნიშნავენ, რომ ტ. პეტროსიანი (43 წლისაა) მერვედ თამაშობს ოლიმპიადაში და ჭერჭერობით ერთი პარტიაც არ წაუგია. ვ. კორჩნოი (41) და მ. ტალი (36) ოლიმპიადაში მეხუთედ მონაწილეობენ, ვ. სმისლოვი (51) — მეცხრედ, ხოლო ა. კარპოვი (21) და ვ. სავონი (42) ოლიმპიადის დებიუტანტები არიან.

## ფიშერი ჯერ არ ჩანს

აშშ-ს გუნდი უფიშეროდ ჩავიდა სკოპლეში. სპასკისთან მატჩის მერე იგი დასასვენებლად რეიკიავიკში დარჩა.

— ვისვენებ, — უთხრა ფიშერმა ჟურნალისტებს ამ რამდენიმე დღის წინ, — ვინაიდან მატჩით გამოწვეული დაღლილობა ჯერჯერობით მძიმე ტვირთად მაწევს.

კორესპონდენტები, რომელთა უმრავლესობა ახლა მსოფლიო ჩემპიონის ახლობელ მეგობრად ასაღებს თავს, ამბობენ, ფიშერი სკოპლეში სულ ბოლო მომენტში გამოჩნდებაო.

## ოლიმპიადების ისტორიაში პირველად

იუგოსლავიის მოჭადრაკეთა კავშირმა და სკოპლეს საქალაქო ხელისუფლებამ დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს. პირველად აიგო სპეციალური ოლიმპიური კომპლექსი. სამი ვეებერთელა თალოვანი დარბაზი ოლიმპიადის ყველა მონაწილეს — 500 მოჭადრაკეს დაიტევს. მთავარი დარბაზი 3 ათასი კვადრატული მეტრის ფართობისაა, ორი სხვა — თითოეული 2050 კვ. მ. თალის სიმაღლე 29 მეტრია. ყველა დარბაზი აღჭურვილია საგანგებო განათებით და კონდიციური ჰაერის დანადგარებით.

ოლიმპიადის შესახებ ინფორმაციას დაამუშავებს კომპიუტერი და მას ყველა დარბაზის ცენტრში დადგმულ ელექტროტაბლოზე გადასცემს. საინტერესო პარტიებს სადემონსტრაციო დაფაზე აჩვენებენ.

## ასე განაწილდნენ

პირველ ჯგუფში, რომელშიც სსრ კავშირის გუნდი თამაშობს, მონაწილენი წილისყრით ასე განლაგდნენ: 1. კუბა, 2. ლუქსემბურგი, 3. სსრ კავშირი, 4. დომინიკანის რესპუბლიკა, 5. ფინეთი, 6. ბელგია, 7. დანია.

* * *

ოლიმპიადის პირველი დღის მიწურულს საბჭოთა ნაკრებმა ბელგიელებთან შეხვედრაში 3 ქულა ჩაიწერა აქტივში. პირველ დაფაზე მოთამაშე პეტროსიანმა მოუგო ბოეს, სმისლოვმა დაამარცხა კორნელისი, ტალმა — ბიენი. კორჩნოის პარტია ვან სეტერსთან გადაიდო.

სტარტზე მოულოდნელი არაფერი მომხდარა. სხვადასხვა წინასწარ ჯგუფში მყოფი ფავორიტები დამაჯერებლად თამაშობენ, თანაც I ტურში მათ შედარებით სუსტი მეტოქენი ჰყავდათ.

აი, ზოგიერთი შეხვედრის ანგარიშები: იუგოსლავია — ინგლისი 2:1 (1 პარტია გადაიდო), უნგრეთი—ინდონეზია 2,5:0,5 (1), გფრ—არგენტინა 2:0 (2), ჩეხოსლოვაკია—მონღოლეთი 2,5:0,5 (1).




ამერიკელები, რომელთაც მსოფლიო ჩემპიონი ფიშერი აკლიათ, დაწინაურდნენ ირანელებთან შეხვედრაში — 2,5:0,5. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ფიშერმა ოლიმპიადის ორგანიზატორებს სკოპლეში თამაშის საფასურად დიდი ჰონორარი მოსთხოვა.

ტურნირმა მონაწილეთა რაოდენობის მხრივ რეკორდი დაამყარა — ოლიმპიადაში 63 ქვეყნის წარმომადგენლები თამაშობენ. სულ ბოლოს სკოპლეში სირიის ნაკრები ჩავიდა.

## თბილისის სპორტული ვიტრინა

**წყალბურთი.** „ლოკომოტივის" აუზი (300 არაგველის ქ. № 1). 21-24 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშები. დასაწყისი 17 ს.

**ტანვარჯიში.** თბილისის განათლების განყოფილების დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშები. დასაწყისი: 21-23 სექტემბერს — 16 ს., 24 სექტემბერს — 14 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. 21-28 სექტემბერი. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა კოლექტივების სპარტაკიადა. დასაწყისი 17 ს.

**მძლეოსნობა.** „ლოკომოტივის" სტადიონი. 21 სექტემბერი. „მორბენლის დღე". მონაწილეობს ყველა მსურველი. დასაწყისი 16 ს.

**თანამედროვე ხუთჭიდი.** სსრ კავშირის პირველობა. ფარიკაობა. 23 სექტემბერი. ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის ფარიკაობის დარბაზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ). დასაწყისი 11 ს. ცხენოსნობა. 24-25 სექტემბერი. იპოდრომი. 12 ს. სროლა. 26 სექტემბერი. ავჭალის სასროლეთი. 11 ს. ცურვა. 26 სექტემბერი. „ლოკომოტივის" აუზი. 19 ს. მძლეოსნური კროსი. 27 სექტემბერი. ლისის ტბის მიდამოები. 15 ს.

**ფეხბურთი.** ასკ-ს სტადიონი. საქართველოს პირველობა. 23 სექტემბერი. ასკ (თბილისი) — „სამცხე" (ახალციხე). დასაწყისი 16 ს. 30 წთ.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-68-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივი ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-66-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.